

შპს აგრო დეველოპერს
2022 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს აგრო დეველოპერს

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31-12-22 ლარი	31-12-21 ლარი	31-12-20 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	952,845	1,056,223	451,413
არამატერიალური აქტივები		-	-	152
სხვა გრძელვადიანი აქტივები	4	83,606	62,198	62,781
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,036,451	1,118,421	514,346
სასაქონლო მარაგები	5	1,194,981	2,438,578	577,860
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	578,009	543,335	640,636
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	262,216	249,209	11,929
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,035,206	3,231,122	1,230,425
სულ აქტივები		3,071,657	4,349,543	1,744,771
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		-	29	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,674,456	2,869,186	485,232
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	9	1,269,940	340,359	454,961
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,944,396	3,209,574	940,193
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		30,427	53,894	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		30,427	53,894	
სულ ვალდებულებები		2,974,823	3,263,468	940,193
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		121,171	121,521	68,435
გაუნაწილებელი მოგება		(168,128)	821,113	594,177
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		(46,957)	942,634	662,611
არამაკონტროლებელი წილი		143,791	143,441	141,966
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,071,657	4,349,543	1,744,771

შპს აგრო დეველოპერს-ის დირექტორი:

გრიგოლ არონიშიძე



შპს აგრო დეველოპერს

კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	10	5,888,530	3,103,712
ამონაგების თვითღირებულება	11	(4,724,105)	(2,388,431)
საერთო მოგება		1,164,425	715,282
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(2,283,986)	(590,594)
ფინანსური შემოსავალი	13	5	-
ფინანსური ხარჯი	14	(55,801)	(22,528)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	15	206,767	(7,945)
მოგება დაბეგვრამდე		(968,590)	94,215
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(968,590)	94,215
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		(959,842)	90,908
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		(8,748)	3,307
მოგება/ზარალი		(968,590)	94,215

შპს აგრო დეველოპერს-ის დირექტორი:

გრიგოლ არონიშვიძე



შპს აგრო დეველოპერს

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022

პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	არამაკონტრო ლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი - 31.12.2020	30,243	594,177	662,611	141,966	804,577
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	38,072		38,072	1,475	39,547
გაცემული დივიდენდები		-	-	-	-
პერიოდის მოგება		90,908	90,908	3,307	94,215
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		147,736	147,736		147,736
					-
ნაშთი - 31.12.2021	68,315	832,821	939,327	146,748	1,086,075
საწესდებო კაპიტალის ცვლილება			-		-
გაცემული დივიდენდები		-	-	-	-
პერიოდის მოგება		(959,842)	(959,842)	(8,748)	(968,590)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(20,651)	(20,651)		(20,651)
ნაშთი - 31.12.2022	68,315	(147,673)	(41,166)	138,000	96,833

შპს აგრო დეველოპერს-ის დირექტორი:

გრიგოლ არონიშიძე



შპს აგრო დეველოპერს

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აგრო დეველოპერს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 12/02/2013). საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გ.ტაბიძის ქ., N3/5 .

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარწყავი სისტემების რეალიზაცია, მონტაჟი და სუპერვაიზინგი.

კომპანიის ფინანსური დირექტორი: აპარონ გაგულაშვილი, 01024062435, 0-1432183-0 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, ისრაელი და დირექტორი - გრიგოლ არონიშიძე, 01017021785.

შპს აგრო დეველოპერს-მა 17/11/2017-ში დააფუძნა კომპანია **შპს ნიუ ორჩარდს გრუპ** (ს/კ **404547905**) რომლის 50%-იან წილის მფლობელსაც თავად წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი 50% წილის მფლობელია ფიზიკური პირი **ეფრაიმ გაბაი, (0-7371164-0)**.

შპს ნიუ ორჩარდს გრუპი-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები, კერძოდ ნუშის მოყვანა შემდგომი რეალიზაციისთვის. შპს აგრო დეველოპერსი აკონტროლებს **შპს ნიუ ორჩარდს გრუპ-ს**.

ამას გარდა, შპს აგრო დეველოპერს-ს ჰყავს 1 დაფუძნებული კომპანია, რომელშიც ფლობს 50%-იან წილს, თუმცა მას არ აკონტროლებს:

- შპს ბარ ლევ ტექ სოლუშენს (ს/კ 404576507)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 აშშ დოლარი / ლარი	2.702	3.0976	3.2766
1 ევრო / ლარი	2.8844	3.504	4.0233

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება

დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ცვეთის წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით

გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ

თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3. ძირითადი საშუალებები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
მიწის ნაკვეთები	63,242	63,242	63,242
ლიზინგით აღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები	185,904	235,492	15,978
შენობები	562,939	598,279	278,211
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	140,761	106,355	93,982
სულ	952,845	1,056,223	451,412

4. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	83,606	62,198	62,781
სულ	83,606	62,198	62,781

5. სასაქონლო მარაგები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
გასაყიდი საქონელი	1,192,407	2,436,004	540,160
სხვა დამხმარე მასალები	2,574	2,574	37,700
სულ	1,194,981	2,438,578	577,860

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
საქონლის/მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნა	386,400	222,932	167,231
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	177,478	165,877	317,822
სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	107,095	126,906
სხვა მოკლევადიანი აქტივები	12,792	-	20,489
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1,340	47,431	8,188
სულ	578,009	543,335	640,636

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
ნაღდი ფული საღაროში	22	10,833	10,833
ფული საბანკო ანგარიშებზე	262,194	238,376	1,096
სულ	262,216	249,209	11,929

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
საიჯარო ვალდებულებები	328.00	343.00	6,000
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	574,537	457,305	229,968
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1,038,394	2,410,749	249,219
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	61,197	789	46
სულ	1,674,456	2,869,186	485,232

9. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
ბანკებიდან აღებული სესხები	1,269,940	340,359	454,961
სულ	1,269,940	340,359	454,961

10. ამონაგები

	2022	2021
	ლარი	ლარი
ამონაგები მომსახურების გაწევიდან და საქონლის მიწოდებიდან	5,888,530	3,103,712
სულ	5,888,530	3,103,712

11. ამონაგების თვითღირებულება

	2022	2021
	ლარი	ლარი
გაყიდული საქონელი/მომსახურება	(4,724,105)	(2,388,431)
სულ	(4,724,105)	(2,388,431)

12. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,344,948)	(405,008)
ცვეთა და ამორტიზაცია	(125,862)	(70,697)
იჯარის ხარჯი	(57,501)	(25,538)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(755,675)	(89,350)
სულ	(2,283,986)	(590,594)

13. ფინანსური შემოსავალი

	2022	2021
	ლარი	ლარი
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი ანაბრის ანგარიშზე	-	-
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხზე	5	-
სულ	5	-

14. ფინანსური ხარჯი

	2022	2021
	ლარი	ლარი
დარიცხული საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხზე	(55,801)	(22,528)
სულ	(55,801)	(22,528)

15. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	2022	2021
	ლარი	ლარი
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	200,373	(5,513)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	6,394	(2,432)
სულ	206,767	(7,945)

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა (28.09.2023)

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია
2023 წლის 28 სექტემბერს.

შპს აგრო დეველოპერს-ის დირექტორი:
გრიგოლ არონიშვიძე

